



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მახა



მახა

მახა, ჭანურად მოხა, დასავლეთ საქართველოს ხორბლის ენდემი, ჰექსაპლოიდური სახეობა. ხორბლის კულტურის პალეორელიქტი და მატერიალური კულტურის უნიკალური ძეგლი. გავრცელების არეალი მკვეთრად შეზღუდულია, მიუხედავად ამისა, პოლიმორფიზმით გამოირჩევა. აერთიანებს 2 ქვესახეობას: ჩელტა მ-სა და გვანა ც-ს. აქვს მრავალი სახესხვაობა. მ. თავთავმტვრევადი ჰექსაპლოიდური ხორბლის ადრეული ეტაპია. მ-ს გენოტიპი ატარებს ძვირფასი სამეურნეო ნიშნების გენებს. მისი გამოყენება პერსპექტიულია ჭარბტენიანი პირობების, ჩანოლის, აგრეთვე გუდაფშუტას მიმართ გამძლე და საკვები ხორბლის სელექციაში.

პ. ნასყიდაშვილი
